



ტრენინგი მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის - „ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში“ (13 სთ შესვენებების, გახსნისა და შეჯამების გარეშე)

შენიშვნა ონლაინ ტრენინგისთვის:

აუცილებელია ისეთი ონლაინ პლატფორმის გამოყენება, რომელსაც ექნება მონაწილეების ჯგუფებად დაყოფისა და ვირტუალური ოთახებში (breakout rooms) გადანაწილების ფუნქცია, არ ექნება შეზღუდული დრო ან/და მონაწილეები. მაგალითად, შესაძლებელია გამოიყენოთ Zoom-ის ფასიანი ვერსია.

მონაწილეები წინასწარ გააფრთხილეთ, რომ ტრენინგი იქნება ინტერაქტიული, მათ ექნებათ ჯგუფებში მუშაობის შესაძლებლობა, ამიტომ მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ მიკროფონის ჩართვისა და საუბრის საშუალება. სასურველია, ტრენინგზე ჩართონ კომპიუტერიდან/ლექტოზიდან, რათა შეძლონ პარალელურად ბრაუზერში კითხვარებისა თუ ჯგუფური დავალებების გახსნა და ვორდში მუშაობა.

ფინანსური განათლება და ტრენინგის მიზნები (1 სთ და 30 წთ. 1 სთ 10 წთ ონლაინ ტრენინგისთვის)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
30 წთ. 20 წთ Online	გაცნობა და მოლოდინების შეკრება	სავარჯიშო ბურთით	მონაწილეები ეცნობიან ერთმანეთს და ასახელებენ საკუთარ მოლოდინს ტრენინგის მიმართ	ტრენერი ესალმება მონაწილეებს, წარუდგენს საკუთარ თავს და გააცნობს ტრენინგის თემატიკასა და დღის წესრიგს, ადმინისტრაციულ/ლოჯისტიკურ საკითხებს (ყავის, ლანჩის ადგილი და ა.შ.); ტრენერი მონაწილეებს სთხოვს დადგენენ წრეზე და გადაუგდონ ბურთი ერთმანეთს. მან, ვის ხელშიც მოხვდება ბურთი, უნდა დაასახელოს - თავისი სახელი და გვარი, სკოლა და ტრენინგის მიმართ საკუთარი მოლოდინი ან მიზანი, რის გამოც დარეგისტრირდა ტრენინგზე. სავარჯიშო ცოცხლად უნდა მიმდინარეობდეს.	ბურთი



				[მასალა: გაცნობისა და მოლოდინების შეკრების სავარჯიშოების ალტერნატიული ვერსიები იხ. დანართ 1-ში: გაცნობის სავარჯიშოები] ონლაინ ტრენინგისთვის მონაწილეებმა უბრალოდ უნდა ჩართონ მიკროფონი და გაეცნონ დანარჩენ მონაწილეებს.	
5 წთ	ტრენინგის მიზნები	-	მონაწილეები იაზრებენ ტრენინგის მიზნებს	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს ტრენინგის მიზნებსა და ქვემიზნებს, გააცნობს ტრენინგის ძირითადი მასალის (სახელმძღვანელოს) სტრუქტურას.	პრეზენტაცია
15 წთ	პრე კითხვარის შევსება	-	მონაწილეები ავსებენ პრე კითხვარს	ტრენერი მონაწილეებს თხოვს დაასკანერონ პრე კითხვარის QR კოდი და ონლაინ შეავსონ. (იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეს არ აქვს შესაძლებლობა შეავსოს ონლაინ კითხვარი, ტრენერი სთავაზობს ამობეჭდილი ვერსიის შევსებას). ტრენერი მონაწილეებს განუმარტავს, რომ ტრენინგის დასრულებიდან 1 კვირის შემდეგ მათ ჰოსტ კითხვარის შევსებაც მოუწევთ. პრე და ჰოსტ კითხვარები ანონიმურია და მისი მიზანია, შეაფასოს ტრენინგის ეფექტურობა და ტრენინგის ფარგლებში მიღებული ცოდნა.	პრე-კითხვარის ბმული / QR კოდი. პრე-კითხვარი ამობეჭდილი
40 წთ 30 წთ Online	ფინანსური განათლების მნიშვნელობა	დისკუსია / ჯგუფური სამუშაო - „გაჩერებები“	მონაწილეები იგებენ ფინანსური განათლებისა და მისი სკოლის ასაკიდანვე	ტრენერი თავიდან მონაწილეებს ეკითხება, რასთან ასოცირდება მათთვის ფინანსური განათლება, მონაწილეებმა პასუხები უნდა შეიყვანონ წინასწარ ონლაინ მომზადებულ გამოკითხვაში (Word Cloud) QR კოდის დასკანირებით.	პრეზენტაცია; წინასწარ მომზადებული Word Cloud - სიტყვების ღრუბელის QR კოდი;



			სწავლების მნიშვნელობის შესახებ ტრენერი მონაწილეებს გაუზიარებს უკრანს, სადაც სიტყვების ღრუბლის სახით ჩანს მონაწილეების მიერ შეყვანილი პასუხები, შეაჯამებს მათ პასუხებს და თავად გააკეთებს ფინანსური წიგნიერების განმარტებას და მოკლედ იტყვის ფინანსური განათლების მნიშვნელობის შესახებ. საკითხავი მასალა: ✓ პრეზენტაცია ✓ ფინედუს ვებგვერდი: https://finedu.gov.ge/ge/finansuri-qanatlebis-mnishvneloba-1 ✓ Word Cloud-ის შესაქმნელად შეგიძლიათ გამოიყენოთ: https://answergarden.ch/ ან https://www.slido.com/ -ის უფასო ვერსიები. ამის შემდეგ ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 5 ჯგუფად. თითოეული ჯგუფის მაგიდაზე იდება თითო ფლიპჩარტის ფურცელი, თითოეულ ფურცელზე წერია თითო კითხვა: 1) რატომ უნდა ისწავლებოდეს ფინანსური განათლება სკოლაში? 2) როგორ წარმოგიდგენიათ ფინანსური განათლება სკოლაში? 3) რა სჭირდებათ მასწავლებლებს იმისთვის, რომ ასწავლონ ფინანსური განათლება? 4) როგორ უნდა დავაინტერესოთ სასკოლო საზოგადოება ფინანსური განათლებით? 5) რა პრობლემებს შეიძლება წავაწყდეთ სკოლაში ფინანსური განათლების სწავლებისას? • ტრენერი მონაწილეებს აძლევს ინსტრუქციას, რომ თავდაპირველად თითოეული ჯგუფი	5 ცალი ფლიპჩარტის ფურცელი, 5 ცალი ფერადი მარკერი. ონლაინისთვის: 5 breakout rooms
--	--	--	---	--



				მუშაობს იმ კითხვაზე, რომელიც მათ მაგიდაზე განთავსებულ ფურცელზეა და წერენ შესაბამის პასუხებს. ამისთვის მათ 3 წუთი ექნებათ. 3 წუთის გასვლის შემდეგ, ჯგუფებმა უნდა გადაინაცვლონ შემდეგ მაგიდაზე/კითხვაზე და ახლა ამ კითხვას მიაწერონ თავიანთი პასუხები. ე.ი. 1-ელი ჯგუფი გადაინაცვლებს მე-2 ჯგუფის კითხვაზე, მე-2 ჯგუფი - მე-3-ზე, მე-3 ჯგუფი - მე-4-ზე, მე-4 ჯგუფი - მე-5-ზე, მე-5 ჯგუფი კი - 1-ელზე. ამისთვისაც 3 წუთი ექნებათ. 3 წუთის გასვლის შემდეგ, ჯგუფები კვლავ გადაინაცვლებენ შემდეგ მაგიდაზე/კითხვაზე. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა ჯგუფი ყველა „გაჩერებას“ არ მოივლის და თავის ადგილს არ დაუბრუნდება. - მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფს ყველა შეკითხვაზე ექნება პასუხი გაცემული, თითოეული ჯგუფი 2-3 წუთის განმავლობაში დანარჩენი მონაწილეების წინაშე შეაჯამებს თავიანთ ფლიპჩარტზე ჩამოწერილ ინფორმაციას. ონლაინ ტრენინგისთვის ტრენერი აღარ მიმართავს „გაჩერებების“ მეთოდს, არამედ მონაწილეებს ჰყოფს 5 ჯგუფად ე.წ. ვირტუალურ ოთახებში (breakout rooms). თითო ჯგუფი იმუშავებს თითო კითხვაზე, ამისთვის მათ 10 წუთი ექნებათ. შემდეგ კი თითოეული ჯგუფი დანარჩენების წინაშე აკეთებს თავისი კითხვის პრეზენტაციას.	
--	--	--	--	---	--



შენიშვნა ონლაინ ტრენინგისთვის:

- გაცნობის სავარჯიშო გაიარეთ სწრაფად, თითოეულმა მონაწილემ თქვას: სახელი, გვარი, რომელ სკოლაში ასწავლის, ტრენინგში მონაწილეობის მიზანი. ჯამში დაუთმეთ მხოლოდ 15 წუთი.
- პრე-კითხვარის ბმული წინასწარ გქონდეთ მზად და გაუგზავნეთ ზუმის ჩატში. მონაწილეებს ასევე შეუძლიათ QR კოდის დასკანირებით ჰირდაპირ გადავიდნენ კითხვარზე.
- Word Cloud-ის ბმული წინასწარ გქონდეთ მზად და გაუგზავნეთ ზუმის ჩატში. მონაწილეებს ასევე შეუძლიათ QR კოდის დასკანირებით ჰირდაპირ გადავიდნენ გამოკითხვაზე.
- ჯგუფური სამუშაოსთვის მონაწილეები ავტომატურად გაანაწილეთ ვირტუალურ ოთახებში, ე.წ. Breakout rooms და მიუთითეთ დრო. მონაწილეებმა ოთახში შესასვლელად უნდა დააჭირონ join room.

პრე კითხვარის ბმული: <https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfXzu3fIClCBr60cVerGswopprleXR7jXu9CK4lYcCurfKogg/viewform>

ფული და ბარტერი (45 წთ. 35 წთ ონლაინ ტრენინგისთვის)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
15 წთ	ფული და ბარტერი	ლექცია	მონაწილეები ეცნობიან ფულის ფუნქციებს, ფორმებს, მახასიათებლებს, ფულის დამცავ ნიშნებს, ბარტერის დადებით და უარყოფით მხარეებს.	ტრენინგის მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: ფული და ბარტერი საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო (VII კლ.) გვ.8 - საკითხი 1: ფული და ბარტერი ✓ ფინანსური განათლების ბროშურა - „ფული და ვალუტა“ https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-qanatilebis-broshurebi-1 ტრენინგის მონაწილეებს ესაუბრება ფულის დამცავ ნიშნებზე 5 ლარიანი ბანკნოტის მაგალითზე და ბანკნოტზევე აჩვენებს მოსახლეობისთვის განკუთვნილ რამდენიმე დამცავ ნიშანს,	პრეზენტაცია; 5 ლარიანი ბანკნოტი (პირისპირ ტრენინგისთვის)



				რომელთა ამოცნობა შეუიარაღებელი თვალით, სპეციალური ხელსაწყოების გარეშე არის შესაძლებელი. საკითხავი მასალა: ✓ ფინედუს ვებგვერდი: https://finedu.gov.ge/ge/taqhlitoba-qalbi-fulis-qamogenebit-1 ✓ ეროვნული ბანკის ვებგვერდი: https://nbq.gov.ge/georgian-money/banknotes	
10 წთ	მეხსიერების თამაში - ფულის მახასიათებლები	თამაში	მონაწილეები მეხსიერების თამაშის საშუალებით იმახსოვრებენ ფულის მახასიათებლებს	მხოლოდ ჰირისპირ ტრენინგისთვის [ტრენერი წინასწარ ბეჭდავს და ამზადებს სათამაშო ბარათებს] • ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს ბარათების თითო წყებას; • ჯგუფებმა ბარათები უნდა დააღაგონ მაგიდაზე ამოტრიალებულად, წარწერით ქვემოთ; • ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეთამაშებიან - თამაშის მიზანი არის ბარათების დაწყვილება: თითოეულ მახასიათებლის ბარათს აქვს შესაბამისი განმარტების ბარათი, რომელიც უნდა დაწყვილდეს. გაიმარჯვებს ის წევრი, რომელსაც ყველაზე მეტი ბარათი ექნება დაწყვილებული; • თამაში შემდეგნაირად მიმდინარეობს: 1 მონაწილე რიგ-რიგობით აიღებს 2 ბარათს და	აქტივობა #1. ფულის მახასიათებლები - მეხსიერების თამაში - ბარათების თითო წყება თითოეული ჯგუფისთვის (წინასწარ ამობეჭდილი და გამოჭრილი)



				აჩვენებს სხვებსაც, თუ ეს ბარათები წყვილდება (ანუ მახასიათებელი და განმარტება ერთმანეთის შესაბამისია), მონაწილე მას დაიტოვებს, თუ არ წყვილდება, მაშინ დააბრუნებს თავის ადგილზე; • მონაწილეებმა უნდა დაიმახსოვრონ, სად რომელი ბარათი ბრუნდება, რათა შემდეგ ადვილად დააწყვილონ; • შემდეგ მეორე მონაწილის ჯერი დგება და ა.შ. საათის ისრის მიმართულებით, სანამ ყველა ბარათი არ დაწყვილდება.	
20 წთ	თამაში ბარტერულ გაცვლაზე	სიმულაცია	მონაწილეები თამაშის გზით გამოცდიან, რა სირთულეები ახლდა ბარტერულ გაცვლას და რატომ გახდა ფულის გამოგონება აუცილებელი	პირისპირ ტრენინგისთვის [ტრენერი წინასწარ ბუქდავს და ამზადებს ფიგურების და ინსტრუქციის ბარათებს] • ტრენერი გააცნობს მონაწილეებს თამაშის მიზანს - მონაწილეებმა ერთმანეთში უნდა გაცვალონ ბარათები (ბარტერი), რათა ამ გაცვლებით შეაგროვონ რაც შეიძლება მეტი 1 რომელიმე ტიპის ბარათი, რომელიც ინსტრუქციის ბარათზე ექნებათ მითითებული. • ტრენერი თითოეულ მონაწილეს ურიგებს თითო ინსტრუქციის ბარათს (მაგ., „შეაგროვე ყველა სამკუთხედი“).	პირისპირ ტრენინგისთვის: აქტივობა #2 - თამაში ბარტერულ გაცვლაზე - დასაბუქდი ბარათები - 10 ეგზემპლარი; თამაში ბარტერულ გაცვლაზე - დასაბუქდი ინსტრუქცია - 2 ეგზემპლარი (20 მონაწილისთვის, წინასწარ ამობუქდილი და გამოჭრილი)



				• ამის შემდეგ ტრენერი ერთმანეთში აურევს ძირითად ბარათებს და თითოეულ მონაწილეს შემთხვევითობის პრინციპით გადასცემს 5 ცალ ბარათს სხვადასხვა ფიგურებით. [მონაწილეების განსხვავებული რაოდენობის შემთხვევაში, წინასწარ განსაზღვრეთ, რამდენი ასლი უნდა დაბეჭდოთ, რამდენი ტიპის ფიგურა და თითოეულს რამდენი ბარათი უნდა მისცეთ] • ამის შემდეგ ტრენერი ანიშნებს მონაწილეებს, რომ დაიწყონ თამაში - თითოეულმა მონაწილემ უნდა იპოვოს ისეთი მონაწილე/მონაწილეები, რომელსაც მისთვის სასურველი ბარათი აქვს და ეცადოს გაცვლა. ამისთვის მათ 10 წუთი ექნებათ. • გამარჯვებული ხდება ის მონაწილე, რომელიც პირველი შეაგროვებს ყველა სასურველ ბარათს (5 ცალს) • ტრენერი იმ მონაწილეებს, რომლებმაც შეაგროვეს სასურველი ბარათები, სთხოვს დასხდნენ, ხოლო დანარჩენები აგრძელებენ თამაშს. • 10 წუთის გასვლის შემდეგ, თამაში სრულდება და მონაწილეები უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს.	
--	--	--	--	--	--



				• თამაშის დასრულების შემდეგ ტრენერი გამართავს მცირე დისკუსიას: რამდენმა მონაწილემ შეაგროვა ყველა სასურველი ბარათი? გაუჭირდათ თუ არა მათ სასურველი ბარათების შეგროვება? რატომ? [თამაშის დროს მონაწილეები აწყდებიან ისეთ სირთულეს, როგორიც არის სამკუთხედის ტიპის ვაჭრობა - ანუ ერთს აქვს ის, რაც მეორეს სჭირდება; ხოლო მეორეს აქვს ის, რაც მესამეს სჭირდება და ამიტომ რთულდება ნებისმიერმა მათგანმა მიიღოს თავისი სასურველი პროდუქტი. ბარტერული გაცვლა სწორედ ამიტომ იყო მოუხერხებელი და საჭირო გახდა გაცვლის სხვა საშუალებებზე შეთანხმება, რასაც ყველა მიიღებდა ნივთის სანაცვლოდ და გაცვლის პროცესს გაამარტივებდა]	
20 წთ	თამაში ბარტერულ გაცვლაზე	სიმულაცია	მონაწილეები თამაშის გზით გამოცდიან, რა სირთულეები ახლდა ბარტერულ გაცვლას და რატომ გახდა ფულის გამოგონება აუცილებელი	ონლაინ ტრენინგისთვის: [ტრენერი https://www.breakeven.app/ -ზე წინასწარ ქმნის თამაშს - Barter & Money და აზიარებს ეკრანს QR-ის დასასკანირებლად] • ტრენერი მონაწილეებს სთხოვს დაასკანირონ QR კოდი, რათა შევიდნენ სიმულაციაში, მონაწილეებმა უნდა დაირქვან სახელი და შეარჩიონ ავატარი.	ონლაინ ტრენინგისთვის: https://www.breakeven.app/ -ზე წინასწარ შექმნილი თამაშის Barter & Money ბმული / QR კოდი



				• მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე შეერთდება სიმულაციას, ტრენერი დააჭერს თამაშის გაშვებას (start) • ტრენერი მონაწილეებს გააცნობს თამაშის მიზანს: თითოეული მონაწილის დავალებაა გაცვალონ ერთმანეთში (ბარტერი) მათ ხელთ არსებული „ემოჯები“ ისე, რომ თითოეულმა შეაგროვოს 4 ცალი ერთნაირი რომელიმე ემოჯი. • ამისთვის, თითოეულმა მონაწილემ უნდა გააკეთოს შეთავაზება (offer) - თუ მას სურს რომელიმე ემოჯის გაყიდვა, უნდა დააჭიროს sell-ს, ხოლო თუ სურს ყიდვა, უნდა დააჭიროს - buy. • მონაწილეები ხედავენ სხვების მიერ გამოტანილ შეთავაზებებს (offers received): თუ შეთავაზება ორივე მხარისთვის მისაღებია (ერთი მხარე იმას სთავაზობს მეორეს, რაც მეორეს უნდა და პირიქით), გარიგება შედგება. • 10 წუთის გასვლის შემდეგ, ტრენერი ასრულებს პირველ რაუნდს, აჩვენებს შედეგებს და გამართავს მცირე დისკუსიას: რამდენმა მონაწილემ შეაგროვა ყველა სასურველი ემოჯი? გაუჭირდათ თუ არა მათ სასურველი ემოჯების შეგროვება? რატომ? [თამაშის დროს მონაწილეები აწყდებიან ისეთ სირთულეს, როგორიც არის სამკუთხედის ტიპის ვაჭრობა - ანუ ერთს აქვს ის, რაც მეორეს სჭირდება;	
--	--	--	--	---	--



				ხოლო მეორეს აქვს ის, რაც მესამეს სჭირდება და ამიტომ რთულდება ნებისმიერმა მათგანმა მიიღოს თავისი სასურველი პროდუქტი. ბარტერული გაცვლა სწორედ ამიტომ იყო მოუხერხებელი და საჭირო გახდა გაცვლის სხვა საშუალებებზე შეთანხმება, რასაც ყველა მიიღებდა ნივთის სანაცვლოდ და გაცვლის პროცესს გაამარტივებდა] • ტრენერს შეუძლია ჩართოს თამაშის მეორე რაუნდიც, სადაც გაცვლის საშუალებად უკვე ფული შემოდის.	
--	--	--	--	--	--

მენიშვნა ონლაინ ტრენინგისთვის:

- წინასწარ დარეგისტრირდით ვებგვერდზე <https://www.breakeven.app/> და შექმენით თამაში - Barter & Money. თამაშის ბმული და QR კოდი გადმოტანილი გქონდეთ პრეზენტაციაშიც. ტრენინგის დროს წინასწარ გქონდეთ გახსნილი ვებგვერდი და სიმულაციის დაწყებამდე გაუზიარეთ უკრანი მონაწილეებს.

ბაზარი და ფასი (1 სთ და 10 წთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
15 წთ	საჭიროებები და სურვილები; ბაზრის მონაწილეები	ლექცია	მონაწილეები მსჯელობენ საჭიროებებსა და სურვილებს შორის განსხვავებებზე და ახდენენ	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხებს - საჭიროებები და სურვილები, ბაზრის მონაწილეები. საკითხავი მასალა:	პრეზენტაცია



			მოთხოვნილებათა კლასიფიკაციას. მონაწილეები ეცნობიან, რა არის მომხმარებელი, მიმწოდებელი, ბაზარი და ფასი	სახელმძღვანელო (VII კლ.) - საკითხი 2: ბაზარი და ფასი, ქვესაკითხები 2.1 და 2.2 (დასაწყისი). გვ. 23 -28	
30 წთ	მოთხოვნა და მიწოდება, კონკურენცია	ინტერაქტიული ლექცია	მონაწილეები გაიგებენ, როგორ ყალიბდება ბაზარი, რა არის მოთხოვნა და მიწოდება და როგორ განისაზღვრება წონასწორული ფასი.	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხებს - მოთხოვნა, მიწოდება, კონკურენცია. საკითხავი მასალა: - სახელმძღვანელო - საკითხი 2: ბაზარი და ფასი. ქვესაკითხები 2.2 და 2.3 გვ. 28 – 36 ტრენერი მოთხოვნის და მიწოდების კანონებს ხსნის სავარჯიშოს საფუძველზე: მოთხოვნის კანონი: - ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, წარმოიდგინონ სიტუაცია: მათ სურთ კარგი მდგომარეობის მქონე მეორადი სმარტფონის შეძენა, რომელიც 1 წლის წინ გამოვიდა და ახლის ფასი მაღაზიებში 1500 ლარია. - ტრენერი პირველ ჯერზე მონაწილეებს სთხოვს, ასწიოს ხელი მათ, ვინც მზად	პრეზენტაცია; დაფა ან ფლიპჩარტის ფურცლები; სხვადასხვა ფერის მარკერები



				არის ამ მეორად სმარტფონში 300 ლარი გადაიხადოს. ტრენერი მეორედაც სთხოვს მონაწილეებს, ასწიონ ხელი მათ, ვინც მზად არის 400 ლარი გადაიხადოს და ა.შ. ყოველ ჯერზე - პრეზენტაციაში მოცემული ფასების მიხედვით. • ერთსა და იმავე მონაწილეს შეუძლია რამდენიმე სხვადასხვა ფასის დასახელებისას ასწიოს ხელი, თუ კი მზად არის ამ ფასის გადასახდელად. • ტრენერი დაფაზე/ფლიპჩარტის ფურცელზე ჩამოწერს ფასს და ფასის გასწვრივ მონაწილეთა იმ რაოდენობას, რომელიც მზად არის ამ ფასის გადასახდელად. [ონლაინ ტრენინგის შემთხვევაში, ტრენერი პრეზენტაციაში მიუწერს ამ რაოდენობებს] • როგორც წესი, ფასის ზრდასთან ერთად, მსურველების რაოდენობა შემცირდება, რის საფუძველზეც ტრენერი ახსნის მოთხოვნის კანონს	
--	--	--	--	---	--



				- ამის შემდეგ, მიღებული მონაცემების საფუძველზე ტრენერი დაფაზე/ფლოიჩარტის ფურცელზე ხაზავს მოთხოვნის მრუდს. [ონლაინ ტრენინგის შემთხვევაში, ტრენერი პრეზენტაციაში მოცემულ გრაფიკში აღემატება მონაცემებს და იქ აგებს მრუდს] მიწოდების კანონი: - ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, წარმოიდგინონ სიტუაცია: მათ სურთ 1 წლის წინ გამოსული სმარტფონის გაყიდვა, რომელსაც 1 წელი იყენებდნენ და კარგ მდგომარეობაშია. იგივე სმარტფონის ფასი (ახლის) მაღაზიებში 1500 ლარია. - ტრენერი პირველ ჯერზე ეუბნება მონაწილეებს, რომ პოტენციური მყიდველი ამ მეორად სმარტფონში მათ 300 ლარის გადახდას სთავაზობს. მონაწილეებს სთხოვს, ასწიოს ხელი მათ, ვინც მზად არის მიჰყიდოს სმარტფონი ამ ფასად. - ტრენერი მეორედაც სთხოვს მონაწილეებს, ახლა	
--	--	--	--	---	--



				წარმოიდგინონ, რომ სმარტფონში 400 ლარს სთავაზობენ - ასწიონ ხელი მათ, ვინც მზად არის 400 ლარად გაყიდოს და ა.შ. ყოველ ჯერზე - პრეზენტაციაში მოცემული ფასების მიხედვით. • ერთსა და იმავე მონაწილეს შეუძლია რამდენიმე სხვადასხვა ფასის დასახელებისას ასწიოს ხელი, თუ კი მზად არის ამ ფასად მიჰყიდოს სმარტფონი პოტენციურ მყიდველს. • ტრენერი დაფაზე/ფლიპჩარტის ფურცელზე ჩამოწერს ფასს და ფასის გასწვრივ მონაწილეთა იმ რაოდენობას, რომელიც მზად არის ამ ფასად გასაყიდად. [ონლაინ ტრენინგის შემთხვევაში, ტრენერი პრეზენტაციაში მიუწერს ამ რაოდენობებს] • როგორც წესი, ფასის ზრდასთან ერთად, მსურველების რაოდენობა გაიზრდება, რის საფუძველზეც ტრენერი ახსნის მიწოდების კანონს	
--	--	--	--	---	--



				ამის შემდეგ, მიღებული მონაცემების საფუძველზე ტრენერი დაფაზე/ფლიპჩარტის ფურცელზე ხაზავს მიწოდების მრუდს. [ონლაინ ტრენინგის შემთხვევაში, ტრენერი პრეზენტაციაში მოცემულ გრაფიკში აედიტებს მონაცემებს და იქ აგებს მრუდს]	
25 წთ	თამაში - „მოთხოვნა და მიწოდება“	სიმულაცია	მონაწილეები თამაშის გზით გამოცდიან, თუ როგორ მუშაობს ბაზარი და როგორ თანხმდებიან მყიდველები და გამყიდველები ამა თუ იმ საქონლის ფასზე	პირისპირ ტრენინგისთვის: [ტრენერი წინასწარ ბეჭდავს და ამზადებს სათამაშო ბარათებსა და მონაწილეების ფურცლებს] ტრენერი მაგიდაზე წარწერით ქვემოთ გაშლის ბარათებს და მონაწილეებს სთხოვს, სათითაოდ აიღონ. მონაწილეები, რომლებსაც შეხვდათ წითელი ბარათები, იქნებიან მყიდველები, ხოლო - შავი ბარათები - გამყიდველები. ტრენერი ბარათების მიხედვით ჰყოფს მონაწილეებს ორ ჯგუფად, ოთახის ერთ ბოლოში გადაინაცვლებენ მყიდველები, ხოლო მეორეში გამყიდველები.	პირისპირ ტრენინგისთვის: აქტივობა #4 თამაში - მოთხოვნა და მიწოდება - მონაწილის ფურცელი თითო მონაწილისთვის; თამაში - მოთხოვნა და მიწოდება - ფასილიტატორის ფურცელი; თამაში - მოთხოვნა და მიწოდება - დასაბეჭდი ბარათები; სათამაშო მონეტები ან კანფეტები



				ტრენერი თითოეულ მონაწილეს ურიგებს შესაბამისი მონაწილის ფურცელს - მყიდველის ან გამყიდველის. ამის შემდეგ ტრენერი ყველა მონაწილისთვის აცხადებს ინსტრუქციას: - წარმოიდგინეთ, რომ გამყიდველები ჰყიდით ბლოკნოტს, ხოლო მყიდველებს გსურთ ამ ბლოკნოტის ყიდვა. თამაში შედგება 4 ეტაპისგან, თითო ეტაპის ხანგრძლივობა 4 წუთია. თითოეულ ეტაპზე, ყველა მყიდველი ცდილობს იყიდოს, ხოლო ყველა გამყიდველი ცდილობს გაყიდოს ბლოკნოტი. - მყიდველისა და გამყიდველის წყვილი უნდა შეთანხმდეს ფასზე, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღებია, რათა შედგეს გარიგება. - მას შემდეგ, რაც შედგება გარიგება, თითოეული წყვილი მიდის ტრენერთან, გადასცემს მათ საკუთარ ბარათებს და ასახელებს შეთანხმებულ ფასს.	
--	--	--	--	--	--



				• 4 წუთის ამოწურვის შემდგომ, ყველა მონაწილე აბრუნებს ბარათს და უბრუნდება საკუთარ ადგილს. • ახალი ეტაპისთვის ტრენერი თავიდან არიგებს ბარათებს არეულად, თუმცა მყიდველებს ისევ უნდა შეხვდეთ წითელი ბარათები, ხოლო გამყიდველებს - შავი. • 2 ეტაპის გასვლის შემდეგ, მონაწილეები ცვლიან როლებს. საერთო ინსტრუქციის გაცემის შემდეგ, ტრენერი ცალ-ცალკე მიდის მყიდველების და გამყიდველების ჯგუფებთან და გასცემს ცალ-ცალკე ინსტრუქციებს: ინსტრუქცია მყიდველებისთვის: • ტრენერი მონაწილეებს უბნება, რომ მათ ბარათებზე გამოსახული რიცხვი შეესაბამება თანხას, რაც იმ მომენტში აქვთ (მათი შემოსავალი), შესაბამისად, ეს არის მაქსიმალური ფასი, რაც შეიძლება მათ ბლოკნოტში გადაიხადონ. • შესაბამისად, გამყიდველთან გარიგების დროს, ვერ	
--	--	--	--	---	--



				გადაიხდიან იმ თანხაზე მეტს, რაც მათი ბარათის რიცხვია (ანუ რაც მათი შემოსავალია). • ამიტომ, ფასზე მოლაპარაკების დროს, მყიდველები უნდა ეცადონ, იყიდონ რაც შეიძლება დაბალ ფასად, რადგან დახარჯონ რაც შეიძლება ნაკლები თანხა თავიანთი შემოსავლიდან (უნდა იყიდონ ბარათის რიცხვზე ნაკლებ ფასად). მყიდველებს შეუძლიათ თავიანთი ქულა ჩაწერონ მონაწილის ფურცელში - მყიდველის მიერ დაგროვებული ქულა იქნება ბარათის რიცხვს გამოკლებული შეთანხმებული ფასი. • თითო მონაწილე თითოეულ ეტაპზე დებს მხოლოდ 1 გარიგებას. ინსტრუქცია გამყიდველებისთვის: • ტრენერი მონაწილეებს უბნება, რომ მათ ბარათებზე გამოსახული რიცხვი შეესაბამება თანხას, რაც ამ ბლოკნოტის შექმნაზე (ყიდვაზე) დაეხარჯათ, შესაბამისად, ეს არის	
--	--	--	--	---	--



				მინიმალური ფასი, რაც შეიძლება მათ დაადონ ბლოკნოტს გასაყიდად. • შესაბამისად, მყიდველთან გარიგების დროს, ვერ გაყიდიან თავის ნივთს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი ბარათის რიცხვია (ანუ რაც თავად დაეხარჯათ ამ ნივთში). • ამიტომ, ფასზე მოლაპარაკების დროს, გამყიდველები უნდა ეცადონ, გაყიდონ რაც შეიძლება მაღალ ფასად, რადგან მიიღონ მეტი მოგება (უნდა გაყიდონ ბარათის რიცხვზე მეტ ფასად). გამყიდველებს შეუძლიათ თავიანთი ქულა ჩაწერონ მონაწილის ფურცელში - გამყიდველის მიერ დაგროვებული ქულა იქნება შეთანხმებულ ფასს გამოკლებული ბარათის რიცხვი. • თითო მონაწილე თითოეულ ეტაპზე დებს მხოლოდ 1 გარიგებას. ცალ-ცალკე ინსტრუქციების გაცემის შემდეგ ტრენერი ანიშნებს მონაწილეებს დაიწყონ თამაში და ნიშნავს დროს - 4 წუთს.	
--	--	--	--	---	--



				4 წუთის გასვლის შემდეგ ტრენერი იბრუნებს ყველა ბარათს და ა.შ. 4-6 ეტაპის განმავლობაში. თითოეულ ეტაპზე ტრენერი თავიდან არიგებს ბარათებს არეულად, 2 ეტაპის გავლის შემდეგ კი მყიდველისა და გამყიდველის როლები იცვლება. ტრენერი ინიშნავს ყველა შემდგარ გარიგებას ფასილიტატორის ფურცელზე: უყურებს გამყიდველის და მყიდველის წყვილის ბარათებს და ადარებს მათ შეთანხმებულ ფასს - ეს ფასი აუცილებლად უნდა იყოს გამყიდველის ბარათის რიცხვზე მაღალი და მყიდველის ბარათის რიცხვზე დაბალი (წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება დადებული არ ჩაითვლება). ტრენერი მყიდველის და გამყიდველის წყვილს აჯილდოებს ქულების შესაბამისად (მონეტით ან კანფეტით) - გამყიდველები მიიღებენ იმდენ მონეტას, რა სხვაობაც შეთანხმებულ ფასსა და მათი ბარათის რიცხვს შორის. მყიდველები მიიღებენ იმდენ მონეტას, რა სხვაობაც იქნება მათი ბარათის რიცხვსა და შეთანხმებულ ფასს შორის.	
--	--	--	--	--	--



				პირველ ეტაპზე შესაძლოა საერთოდ ვერ მოახერხონ გარიგება. თამაშის დასრულების შემდეგ, ტრენერი მთლიანი ჯგუფისთვის გახდის ცხადს იმ ინტრუქციებს, რაც ცალცალკე გაიცა - რომ მყიდველები შეზღუდული არიან თავიანთი შემოსავლით, ხოლო გამყიდველები - დახარჯული რესურსებით. ამიტომ მყიდველები ვერ გადაიხდიდნენ ბარათის რიცხვზე მეტს (ანუ თავიანთ თანხაზე მეტს) და გამყიდველები ვერ გაყიდნენ თავიანთი ბარათის რიცხვზე დაბალ ფასად (ანუ თავიანთ დანახარჯზე ნაკლებად). ამიტომ ყველა მხარე შეთანხმდა მისთვის მისაღებ ფასზე. ტრენერი მართავს მცირე დისკუსიას: როგორი იყო თამაშის პროცესი? უჭირდათ თუ არა ფასზე შეთანხმება? შეიცვალა თუ არა რამე მომდევნო ეტაპებზე?	
25 წთ	თამაში - „მოთხოვნა და მიწოდება“	სიმულაცია	მონაწილეები თამაშის გზით გამოცდიან, თუ როგორ მუშაობს ბაზარი და როგორ თანხმდებიან მყიდველები და გამყიდველები ამა	ონლაინ ტრენინგისთვის [ტრენერი https://www.breakeven.app/ - ზე წინასწარ ქმნის თამაშს - Supply & Demand და აზიარებს ეკრანს QR-ის დასასკანირებლად] • ტრენერი მონაწილეებს სთხოვს დაასკანირონ QR კოდი, რათა	ონლაინ ტრენინგისთვის: https://www.breakeven.app/ -ზე წინასწარ შექმნილი თამაშის Supply & Demand ბმული / QR კოდი



			თუ იმ საკონტოს ფასზე	შევიდნენ სიმულაციაში, მონაწილეებმა უნდა დაირქვან სახელი და შეარჩიონ ავატარი. • მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე შერთდება სიმულაციას, ტრენერი დააჭერს თამაშის გაშვებას (start) • ტრენერი მონაწილეების განუმარტავს თამაშის მიზანს - მყიდველებმა უნდა იყიდონ, ხოლო მონაწილეებმა უნდა გაყიდონ 1 ცალი კრისტალი. • გამყიდველების (Seller) დავალებაა, გაყიდონ 1 ცალი „კრისტალი“ შესაძლო მაღალ ფასად. მათ მის ყიდვაში (წარმოებაში) დახარჯული აქვთ X თანხა (მითითებულია მათ ჰორტალზე), ამიტომ უნდა გაყიდონ უფრო მაღალ ფასად, ვიდრე ეს თანხაა, რათა გამოიმუშაონ მოგება. • მყიდველების (Buyer) დავალებაა, იყიდონ 1 ცალი „კრისტალი“ შესაძლო დაბალ ფასად. მათ ეს „კრისტალი“ X თანხად უღირთ (ან ამდენი თანხა აქვთ - მითითებულია მათ ჰორტალზე), ამიტომ უნდა იყიდონ უფრო დაბალ ფასად, ვიდრე ეს თანხაა, რათა დარჩეს ფული. • გარიგების დასადებად, თითოეულმა მონაწილემ უნდა	
--	--	--	-----------------------------	---	--



				გააკეთოს შეთავაზება (offer) - გამყიდველებმა უნდა დააჭირონ sell და მიუთითონ სასურველი ფასი, ხოლო მყიდველებმა უნდა დააჭირონ buy და მიუთითონ სასურველი ფასი. • მონაწილეები ხედავენ სხვების მიერ გამოტანილ შეთავაზებებს (offers received): თუ შეთავაზება (ფასი) ორივე მხარისთვის მისაღებია გარიგება შედგება. • ტრენერს შეუძლია გადავიდეს შემდეგ ეტაპებზე. 15 წუთის შემდეგ თამაში სრულდება და ტრენერი აჩვენებს შედეგებს. • ტრენერი მართავს მცირე დისკუსიას: როგორი იყო თამაშის პროცესი? უჭირდათ თუ არა ფასზე შეთანხმება? შეიცვალა თუ არა რამე მომდევნო ეტაპებზე?	
--	--	--	--	--	--

შენიშვნა ონლაინ ტრენინგისთვის:

- წინასწარ დარეგისტრირდით ვებგვერდზე <https://www.breakeven.app/> და შექმენით თამაში - Barter & Money. თამაშის ბმული და QR კოდი გადმოტანილი გქონდეთ პრეზენტაციაშიც. ტრენინგის დროს წინასწარ გქონდეთ გახსნილი ვებგვერდი და სიმულაციის დაწყებამდე გაუზიარეთ ეკრანი მონაწილეებს.

კერძო და საჯარო საკუთრება (40 წთ)



დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
25 წთ	საჯარო და კერძო საკუთრება	ლექცია	მონაწილეები გაიგებენ სხვაობას საჯარო, კერძო, საზოგადოებრივ და კლუბურ საქონელს შორის და განსაზღვრავენ კერძო და საჯარო საქონლის მიმწოდებლებს.	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს - საჯარო და კერძო საკუთრება. საკითხავი მასალა: სახელმძღვანელო (VII კლ.) - საკითხი 3: კერძო და საჯარო საკუთრება, გვ.26	პრეზენტაცია
15 წთ	საქონლის კლასიფიკაცია	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები ახდენენ საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციას ტიპების მიხედვით.	პირისპირ ტრენინგისთვის: [ტრენერი წინასწარ ბეჭდავს და აშუადებს ბარათებს; ტრენერი წინასწარ დაფაზე/ფლიპჩარტზე წერს ჯგუფების ნომრებს (1,2,3,4) ერთმანეთის გასწვრივ, თითოეული ჯგუფის ქვეშ კი წერს საქონლის ოთხივე ტიპს: კერძო, საზოგადოებრივი, კლუბური, საჯარო. თითოეული წარწერის ქვეშ დატოვებული უნდა იყოს სივრცე ბარათების მისაკრავად და მიმაგრებული იყოს სკოჩი ორმხრივად, ან მაგნიტები] ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად, თითოეულს ჯგუფს გადასცემს ბარათების თითო წყებას. ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, იმსჯელონ ჯგუფებში, ბარათებზე მოცემული საქონლიდან და მომსახურებიდან, რომელია კერძო, რომელი საზოგადოებრივი, რომელი კლუბური და რომელი	პირისპირ ტრენინგისთვის: აქტივობა #3 საქონლის კლასიფიკაცია - ბარათები - 4 ეგზემპლარი; ფლიპჩარტის ფურცლები ან დაფა; სკოჩი ან მაგნიტები



				საჯარო და შესაბამისად დააჯგუფონ ბარათები. ამისთვის მათ 10 წუთი ექნებათ. ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, თითოეული ჯგუფიდან რომელიმე წევრი გამოვიდეს დაფასთან/ფლიპჩარტთან და თითოეული ბარათი შესაბამის ადგილას მიაკრას.	
15 წთ	საქონლის კლასიფიკაცია	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები ახდენენ საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციას ტიპების მიხედვით.	ონლაინ ტრენინგისთვის: [ტრენერი წინასწარ ტვირთავს გუგლ დრაივზე აქტივობა #3 საქონლის კლასიფიკაცია - ონლაინ ტრენინგისთვის - ფაილს და ამზადებს ბმულს] ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად, თითოეულმა ჯგუფმა უნდა ჩამოტვირთოს ჩამოტვირთოს საქონლის კლასიფიკაციის PPT ფაილი დრაივიდან და 1-ელ სლაიდზე მოცემული საქონელი და მომსახურება დააჯგუფოს და ჩაწეროს მეორე სლაიდზე შესაბამის გრაფებში.	ონლაინ ტრენინგისთვის: 4 breakout rooms; აქტივობა #3 საქონლის კლასიფიკაცია - ონლაინ ტრენინგისთვის - ბმული

შენიშვნა ონლაინ ტრენინგისთვის:

- ჯგუფური სამუშაოსთვის მონაწილეები ავტომატურად გაანაწილეთ ვირტუალურ ოთახებში, ე.წ. Breakout rooms და მიუთითეთ დრო. მონაწილეებმა ოთახში შესასვლელად უნდა დააჭირონ join room. ჯგუფებისთვის აქტივობის ფურცლები ონლაინ იქნება ატვირთული და ჯგუფები ჩამოტვირთავენ მათთვის შესაბამისს.
- აქტივობის ფურცლები წინასწარ გაამზადეთ ცალცალკე, ვორდის/ვდო ფაილებში და ტრენინგამდე ატვირთეთ გუგლ დრაივზე ისე, რომ ბმულის გაზიარების შემდეგ ყველას შეეძლოს მათი ნახვა და ჩამოტვირთვა.
- დრაივის ბმული წინასწარ გქონდეთ მზად და გაუგზავნეთ ზუმის ჩატში. გააფრთხილეთ მონაწილეები, რომ ვიდრე ვირტუალურ ოთახებში გაანაწილებთ, მანამდე გადავიდნენ ბმულზე და გახსნან დრაივი თავიანთ ბრაუზერში (რადგან განაწილების შემდეგ ჩატში დაწერილი ინფორმაცია აღარ ჩანს).



- აღნიშნული შენიშვნა გაითვალისწინეთ ქვემოთ მოცემული ყველა ონლაინ ჯგუფური სამუშაოსთვის.

შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება (1 სთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
5 წთ	შემოსავლები და ხარჯები	ლექცია	მონაწილეები მსჯელობენ შემოსავლებისა და ხარჯების ტიპებზე, განასხვავებენ აუცილებელ და არააუცილებელ ხარჯებს	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს - შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება. საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო - საკითხი 4: შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება, გვ. 55 ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „პირადი ბიუჯეტი“ https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-ganatilebis-broshurebi-1	პრეზენტაცია
10 წთ	პირადი ფინანსების მართვა	ტესტი	მონაწილეები ტესტის შევსების გზით დაფიქრდებიან, როგორი დამოკიდებულებები აქვთ პირად ფინანსებთან მიმართებაში.	ტრენერი მონაწილეებს ინდივიდუალურად ურიგებს ტესტის ფურცელს და სთხოვს, 5 წუთის განმავლობაში შეავსონ. მომდევნო 5 წუთის განმავლობაში კი მონაწილეები სურვილისამებრ გააზიარებენ საკუთარ შედეგს და თავის დამოკიდებულებას შედეგთან.	აქტივობა #5 - ტესტი - ფულის მართვასთან დამოკიდებულება - თითოეული მონაწილისთვის ონლაინისთვის: აქტივობის ფურცლის ბმული
10 წთ	ბიუჯეტირება	ლექცია	მონაწილეები ეცნობიან პირადი ბიუჯეტის შაბლონს და დაფიქრდებიან	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს - შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება.	პრეზენტაცია



			პირადი/ოჯახის ბიუჯეტის შედგენის საჭიროებაზე	საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო - საკითხი 4: შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება, გვ. 55 ✓ https://finedu.gov.ge/ge/biujetireba-1	
25 წთ	ბიუჯეტირება	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები პრაქტიკული დავალების გზით დაფიქრდებიან, რა შემოსავლები და ხარჯები შეიძლება გაუჩინდეთ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და შეადგენენ პირად ბიუჯეტს.	ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად, თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეადგინოს ბიუჯეტი სხვადასხვა ტიპის ოჯახისთვის: 1. წყვილი, რომელთაც ახლახანს შექმინათ პირველი შვილი და იპოთეკით შეძენილ ბინაში ცხოვრობენ 2. წყვილი, რომელთაც უფროსკლასელი შვილები და ხანდაზმული მშობლები ყავთ 3. ახალგაზრდა, რომელიც მარტო ცხოვრობს 4. წყვილი 2 მცირეწლოვანი ბავშვით ამისთვის, მონაწილეები უნდა დაფიქრდნენ შემდეგზე: რა ღირებულებები აქვს ამ ოჯახს? რა ტიპის შემოსავლები და რა ტიპის ხარჯები ექნება თითოეულ ოჯახს? რომელი იქნებოდა თითოეულისთვის აუცილებელი ხარჯი, და რომელი არააუცილებელი? რისთვის შეიძლება ზოგავდნენ თანხას? რა პერიოდზე გაწერდით ბიუჯეტს? ხარჯების აღრიცხვისა და ბიუჯეტის დაგეგმვის როგორი მეთოდი იქნებოდა მათთვის მოსახერხებელი? ბიუჯეტის შედგენისას მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თანხების მითითება არ არის საჭირო, უბრალოდ უნდა ჩამოიწეროს	კალმები/მარკერები, ფურცლები ონლაინისთვის: 4 breakout rooms



				შემოსავლების, ხარჯებისა და დანაშოგების კატეგორიები. მოსაფიქრებლად გგუფებს 9 წთ ექნებათ, წარსადგენად კი თითოეულ მათგანს - 4-4 წუთი.	
10 წთ	ბიუჯეტირების მეთოდები	ლექცია	მონაწილეები მსჯელობენ ეფექტური ბიუჯეტირების გზებზე და მეთოდებზე	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს - 6 ნაბიჯი წარმატებული ბიუჯეტირებისთვის. საკითხავი მასალა: ✓ ფინედუს ბლოგი - https://finedu.gov.ge/ge/blogi-1/6-nabiji-tsarmatebuli-biujetirebistvis-1	პრეზენტაცია

დაზოგვა და დეპოზიტები (1 სთ და 40 წთ, 1 სთ და 20 წთ ონლაინ ტრენინგისთვის)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
10 წთ	დაზოგვა და ფინანსური მიზნები	ლექცია	მონაწილეები დაფიქრდებიან ფინანსურ მიზნებზე და დაზოგვის მნიშვნელობაზე	საკითხის ახსნამდე ტრენერი მონაწილეებთან მართავს მცირე დისკუსიას კითხვებზე: რისთვის ზოგავენ ადამიანები? რაში შეიძლება დამეხმაროს დანაშოგი? ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს - დაზოგვა საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო - საკითხი 5: დაზოგვა და ქველმოქმედება, ქვესაკითხი 5.1 გვ. 67	პრეზენტაცია



25 წთ	პრობლემების ხე - დანაზოგების ნაკლებობა	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები დაფიქრდებიან მიზეზებზე, თუ რატომ არ ზოგავენ ადამიანები და გაიაზრებენ შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს დანაზოგების ნაკლებობას. ასევე იმსჯელებენ პრობლემის გადაჭრის გზებზე.	პირისპირ ტრენინგისთვის: [ტრენერი წინასწარ ხატავს ფლიპჩარტის ფურცელზე „პრობლემების ხის“ შაბლონს] ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 3 ან 4 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ურიგებს თითო ფერის ორი სხვადასხვა ფორმის წებოვანი ფურცლის წყებას. • ჯგუფებმა უნდა მოიფიქრონ: პრობლემის - დანაზოგების ნაკლებობის -გამომწვევი მიზეზები (რა იწვევს ამ პრობლემას? რატომ არ ზოგავენ ადამიანები? რამ შეუწყო ხელი ამ პრობლემის გაჩენას?) • ჯგუფის წევრებმა თითო მიზეზი უნდა დააწერონ თითო ფურცელს და მიაკრან ხეს ფესვებზე. • ამის შემდეგ, კი უნდა მოიფიქრონ: შედეგები, რომელიც იმ შემთხვევაში დება, როცა დანაზოგი არ გვაქვს (რა მოხდება, თუკი დანაზოგი არ გვექნება? რა შედეგამდე შეიძლება მივიდეთ? როგორ იმოქმედებს ეს ჩვენზე?) • ჯგუფის წევრებმა თითო შედეგი უნდა დააწერონ მეორე ფორმის თითო ფურცელზე და მიაკრან ხეს ტოტებზე. • თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს მინიმუმ 3 მიზეზი და მინიმუმ 3 შედეგი. ამისთვის მათ 10 წუთი ექნებათ. • ტრენერი აკამებს ჯგუფების მიერ წარმოდგენილ ვერსიებს და კრავს მოვლენების ჯაჭვს. ამის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ სხვამს კითხვას - საბოლოოდ, რა მნიშვნელობა აქვს დაზოგვას?	დაფაზე ან ფლიპჩარტზე წინასწარ დახატული ხე, ფესვებითა და ტოტებით, რომელსაც შუაში (ხის ტანზე) ეწერება „დანაზოგების ნაკლებობა“; 2 ტიპის წებოვანი მისაკრობი ფურცლები თითოეული ჯგუფისთვის სხვადასხვა ფერში, კალმები; ონლაინ ტრენინგისთვის: 3-4 breakout rooms; „პრობლემების ხის“ შაბლონი შესავსებად (პრეზენტაციაში)
----------	--	--------------------	---	--	---



				ონლაინ ტრენინგისთვის: ჯგუფები იგივენაირად მსჯელობენ და უბრალოდ თავისთვის ინიშნავენ მინიმუმ 3 მიზეზს და 3 შედეგს. ჯგუფიდან 1 ადამიანი წერს ტრენერს ჯგუფის ვერსიებს, ტრენერი კი ავსებს სპეციალურ შაბლონს. (ან ჯგუფებიდან დაბრუნების შემდეგ, ჯგუფიდან ერთი წევრი ხმამაღლა ასახელებს ვერსიებს და ტრენერი პარალელურად ავსებს)	
30 წთ	დაზოგვის მეთოდები, დანაზოგის შენახვის გზები, ქველმოქმედება	ლექცია / ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები მსჯელობენ დანაზოგის შენახვის სხვადასხვა გზაზე, საბანკო დეპოზიტის ტიპებზე და მნიშვნელოვან პირობებზე. მონაწილეები გაიაზრებენ მარტივ და რთულ პროცენტს შორის სხვაობას და იმჯელებენ ინვესტირების კრიტერიუმებზე.	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: დაზოგვა და ქველმოქმედება დეპოზიტის კალკულატორებით დეპოზიტის თანხის/ყოველთვიური შენატანის გამოსათვლელად, ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს აქტივობა #7-ის ფურცლებს და ჯგუფები თავად გამოიანგარიშებენ. ან: ტრენერი აზიარებს ეკრანს, სადაც ფინედუს კალკულატორების დახმარებით თავად გამოითვლის დეპოზიტზე დაგროვილ თანხას / ყოველთვიურ შენატანს და პარალელურად აჩვენებს მონაწილეებს. საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო (VII კლ.) - საკითხი 5: დაზოგვა და ქველმოქმედება, გვ. 67 ✓ https://finedu.gov.ge/ge/sabanko-depozitebi-1 ✓ დეპოზიტის კალკულატორები ფინედუზე:	პრეზენტაცია; აქტივობა #7 - დეპოზიტის კალკულატორები - თითოეული ჯგუფისთვის ონლაინ ტრენინგისთვის: 3-4 breakout rooms, აქტივობის ფურცლის ბმული.



				✓ https://finedu.gov.ge/ge/calculators/15 ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „დაზოგვა და დეპოზიტები“ https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-ganatilebis-broshurebi-1	
30 წთ	დეპოზიტის ტიპები	ჯგუფური სამუშაო - მოზაიკა		მხოლოდ პირისპირ ტრენინგისთვის: [დეპოზიტის ტიპების და მნიშვნელოვანი პირობების არაღუქციური გზით ასახსნელად, ტრენერი წინასწარ ბეჭდავს და გამოჭრის ბარათებს აქტივობა #6-იდან] • ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 5 კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგდება ბარათების თითო წყება. • პირველ ეტაპზე, ის მონაწილეები, რომლებსაც შეხვდათ ბარათი N1, სხდებიან ერთად, ბარათი N2 - ერთად და ა.შ. და ერთმანეთში განიხილავენ ბარათზე მოცემულ საკითხს (3-4 წუთის განმავლობაში). მათ უნდა დაიმასხვრონ ბარათებზე მოცემული ინფორმაცია. • მეორე ეტაპზე, მონაწილეები ბრუნდებიან თავიანთ თავდაპირველ ჯგუფებში და ჯგუფის თითოეული მონაწილე რიგ-რიგობით ირგებს „მასწავლებლის“ როლს, მან ჯგუფის დანარჩენ წევრებს უნდა აუხსნას თავის ბარათზე მოცემული ინფორმაცია და ა.შ. სანამ ჯგუფის ყველა წევრი არ მოირგებს მასწავლებლის როლს და გააზიარებს თავისი ბარათის ინფორმაციას. • ჯგუფის მონაწილეებს სხვადასხვა ინფორმაციის მქონე ბარათები აქვთ, შესაბამისად, მთლიანი ინფორმაციის შესაკრავად (მოზაიკის ასაწყობად), მნიშვნელოვანია თითოეული	აქტივობა #6 - დეპოზიტის ტიპები - მოზაიკა - ბარათების თითო წყება თითო 5 კაციანი ჯგუფისთვის



				წევრის წვლილი როგორც ინფორმაციის გაზიარებაში, ასევე მოსმენაში. • მას შემდეგ, რაც ჯგუფების წევრები ერთმანეთში გააზიარებენ ინფორმაციას, ტრენერი განიხილავს მნიშვნელოვან საკითხებს და აჯამებს თემას.	
5 წთ	დეპოზიტის ტიპები	აქტივობა	მონაწილეები განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის დეპოზიტს და დაუკავშირებენ ფინანსურ მიზნებს	პირისპირ ტრენინგისთვის [ტრენერი წინასწარ ბეჭდავს აქტივობა #8-იდან 3 ტიპის დეპოზიტის პოსტერს და კედლებზე აკრავს ერთმანეთისგან მოშორებით.] ტრენერი მონაწილეებს უკითხავს სიტუაციებს. თითოეული სიტუაციის წაკითხვის შემდეგ, მონაწილეებმა უნდა მოიფიქრონ, ყველაზე მეტად რომელი დეპოზიტის გახსნა სჯობს ამ შემთხვევაში, და სწრაფად მივიდნენ და დადგნენ იმ დეპოზიტის წარწერასთან, რომელზეც ფიქრობენ, რომ ყველაზე მეტად შეესაბამება მოცემულ სიტუაციას. თითოეული სიტუაციის დასახელების შემდეგ, როდესაც ყველა მონაწილე დადგება თავის მიერ არჩეულ წარწერასთან, ტრენერი უკითხავს მონაწილეებს: რატომ ფიქრობენ ასე? არსებობს განსხვავებული აზრი? ჰკითხეთ მათ, რატომ არ ეთანხმებიან ამა თუ იმ არჩევანს. მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა დაასაბუთონ თავისი აზრი. შესაძლოა ერთსა და იმავე სიტუაციაში სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა ტიპის დეპოზიტის გახსნა ერჩივნოს, მთავარია, ზუსტად ქონდეს გაცნობიერებული, რა მახასიათებლები აქვს ამ პროდუქტს. ონლაინ ტრენინგისთვის:	აქტივობა #8 - დეპოზიტის ტიპები - კედლის ბარათები; დეპოზიტის ტიპები - სიტუაციები



				ტრენერი წაიკითხავს სიტუაციას, მონაწილეებმა კი უბრალოდ უნდა დაასახლონ შესაბამისი დეპოზიტის ტიპი	
--	--	--	--	--	--

ფინანსური თაღლითობა და ფინანსური უსაფრთხოება (1 სთ და 15 წთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
5 წთ	რისკის შემცველი სიტუაციები	დისკუსია	მონაწილეები პასუხობენ კითხვებს რისკების შემცველი ქმედებების შესახებ, რაც მოამზადებს საფუძველს თემის - ფინანსური თაღლითობის განსახილველად	[ტრენერი წინასწარ ურიგებს თითო მონაწილეს 7 ცისფერი და 7 მწვანე პატარა ჩასანიშნ ქაღალდს.] ტრენერი მონაწილეებს უსვამს პრეზენტაციაში მოცემულ კითხვებს. თუ მონაწილის პასუხია - კი, მან უნდა აჩვენოს ცისფერი ბარათი და გადადოს ცალკე. თუ - არა, მაშინ უნდა აჩვენოს მწვანე ბარათი და გადადოს ცალკე. თითო კითხვაზე თითოეული მონაწილე გადადებს შესაბამისი ფერის ახალ ბარათს. მას შემდეგ, რაც ყველა კითხვას დასვამს, ტრენერი სთხოვს მონაწილეებს დაითვალონ - რამდენი მწვანე და რამდენი ცისფერი ბარათი დაუგროვდათ. თუ ცისფერი ბარათების რაოდენობა აღემატება მწვანეს, მაშინ მონაწილის ჩვევები რისკიანია და მეტი მანძი აქვს, თაღლითობის მსხვერპლი გახდეს. თუ მწვანე უფრო მეტია, ვიდრე ცისფერი, მაშინ მონაწილე ხშირად მიმართავს	7-7 ცისფერი და მწვანე ჩასანიშნი ფურცელი თითოეული მონაწილისთვის



				სიფრთხილის ზომებს და იცავს საკუთარ ფინანსურ უსაფრთხოებას. ტრენერი ამ გამხსნელ სავარჯიშოს შეაჯამებს იმით, რომ მომდევნო სესიაზე განხილული იქნება თითოეული შემთხვევა, რატომ შეიძლება იყოს ეს ფინანსური თაღლითობა და როგორ აირიდონ თავიდან მსგავსი შემთხვევები მონაწილეებმა.	
25 წთ	ფინანსური თაღლითობის სახეები	ინტერაქტიული ლექცია	მონაწილეები ეცნობიან ფინანსური თაღლითობის გავრცელებულ სახეებს და მსჯელობენ მათი ამოცნობის გზებზე	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს - ფინანსური თაღლითობა. ტრენერი მონაწილეებთან ერთად ცალცალკე განიხილავს თაღლითობის სახეებს - ფიშინგი, თაღლითობა მავნე პროგრამით, კერძო გარიგებებთან დაკავშირებული თაღლითური სქემები, ფინანსური პირამიდა და მსჯელობენ თითოეულის ამოცნობის გზებზე საკითხავი მასალა: ✓ დანართი 2 - ფინანსური თაღლითობა და ფინანსური უსაფრთხოება ✓ https://finedu.gov.ge/ge/finansuri-taqhlitobis-sakheebi-1 ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „თაღლითური სქემები და ფინანსური უსაფრთხოება“ https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-qanatlebis-broshurebi-1	პრეზენტაცია
30 წთ	ფინანსური თაღლითობის შემთხვევები	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები პრაქტიკული აქტივობის გზით	ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 3 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს აქტივობა #9-იდან დავალება 2 სიტუაციით (შემთხვევით).	აქტივობა #9 - ფინანსური



			ამოიცნობენ საეჭვო შეთავაზებებს და გამახვილებენ ყურადღებას უსაფრთხოებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში	ტრენერი სთხოვს ჯგუფებს, გაეცნონ დავალებაში მოცემულ ორივე სიტუაციას და თითოეული სიტუაციის მიხედვით იმსჯელონ შემდეგ კითხვებზე: არის თუ არა ეს სიტუაცია საეჭვო? თუ კი, რომელი ნაწილია საეჭვო? რომელი ნაწილია უსაფრთხო? ჩვეულებრივი? რამე საფრთხის შემცველი ხომ არაა? რა რეკომენდაცია ექნებოდათ საფრთხეების დასაბალანსებლად?	უსაფრთხოება - სიტუაციები ონლაინისთვის: 3 Breakout rooms, აქტივობის ფურცლების ბმული
15 წთ	ფინანსური უსაფრთხოება	ინტერაქტიული ლექცია	მონაწილეები განიხილავენ, რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ არ გახდნენ ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს - ფინანსური უსაფრთხოება. ტრენერი ფინანსური თაღლითობის განხილულ შემთხვევებს აჯამებს რჩევებით, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მომხმარებელმა, რათა არ გახდეს თაღლითობის მსხვერპლი საკითხავი მასალა: https://finedu.gov.ge/ge/rchevebi-finansuri-usaftrtkhoebistvis-1	პრეზენტაცია

პროფესია და სამსახური (35 წთ)



დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
25 წთ	პროფესია და სამსახური	ლექცია	მონაწილეები მსჯელობენ პროფესიის არჩევამდე და სამსახურის დაწყებამდე გასათვალისწინებელ საკითხებზე, ეცნობიან თუ რა არის შრომის დანაწილება.	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: პროფესია და სამსახური. საკითხზე საუბრისას ტრენერი მონაწილეებს დაუსვამს დისკუსიის წამახალისებელ კითხვებს: რას ურჩევდით მოსწავლეებს, რა უნდა გაითვალისწინონ პროფესიის არჩევისას? სად და რა ინფორმაცია შეიძლება მოვიძიოთ ამა თუ იმ პროფესიის შესახებ? საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო (IX კლ.) გვ.8 - საკითხი 1: პროფესია და სამსახური	პრეზენტაცია
10 წთ	პროფესიის არჩევა	ტესტი	მონაწილეები თავის თავზე გამოცდიან მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტესტს და დაფიქრდებიან, სხვადასხვა ინტერესისა თუ საყვარელი საქმიანობის მიხედვით, როგორ შეიძლება შეარჩიონ პროფესია	ტრენერი მონაწილეებს ურიგებს ტესტის თითო ეგზემპლარს და სთხოვს, 5 წუთის განმავლობაში შეავსონ ტესტის შევსების შემდეგ, ტრენერი მონაწილეებს უკითხება, დაემთხვა თუ არა ტესტის შედეგი მათ პროფესიას; ან როგორია მათი მოლოდინი ამ დავალების მოსწავლეებთან წარდგენის დროს.	აქტივობა #10 - ტესტი - პროფესიის არჩევა - თითო ეგზემპლარი თითოეული მონაწილისთვის ონლაინ ტრენინგისთვის: აქტივობის ფურცლის ბმული



სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები (50 წთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
20 წთ	სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები	ლექცია	მონაწილეები ეცნობიან გადასახადებს, განიხილავენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებსა და ხარჯებს, მსჯელობენ გადასახადების პირად ფინანსებზე გავლენის შესახებ	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები. საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო (IX კლ.) გვ. 22 - საკითხი 2: სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები ✓ https://finedu.gov.ge/ge/sakartveloshi-mokmedi-gadasakhadebi-1 ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები“ https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-ganatilebis-broshurebi-1	პრეზენტაცია
20 წთ	გადასახადები და მათი გამოთვლა	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები მსჯელობენ, რა გადასახადი გადაიხდება კონკრეტულ სიტუაციაში და დაფიქრდებიან არაპირდაპირ გადასახადებზე, რომლებსაც მომხმარებლები პროდუქტისა და მომსახურების გაზრდილი ფასით ვიხდით	ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად, 2 ჯგუფს ურიგებს აქტივობა #11 - გადასახადების გამოთვლა და 2 ჯგუფს #12 - გადასახადის სახეები. ტრენერი ჯგუფებს თხოვს 10 წუთის განმავლობაში შეასრულონ მათ სამუშაო ფურცელში მოცემული დავალება. (პირველმა ორმა ჯგუფმა მოცემული სიტუაციის მიხედვით უნდა დაადგინოს, რომელ გადასახადს გადაიხდის ოჯახი და გამოთვალოს ოჯახის ყოველთვიური ხელზე ასაღები შემოსავალი;	2 ჯგუფისთვის აქტივობა #11 - გადასახადების გამოთვლა; 2 ჯგუფისთვის აქტივობა #12 გადასახადების სახეები. ონლაინისთვის: 4 breakout rooms; აქტივობის ფურცლების ბმული



				მეორე ორმა ჯგუფმა კი მოცემული სიტუაციების მიხედვით უნდა დაადგინოს, რომელ გადასახადს (საშემოსავლო, მოგების და ა.შ.) გადაიხდის პირი და რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ეს გადასახადი (საერთო სახელმწიფოებრივს თუ ადგილობრივს) 10 წუთის შემდეგ ჯგუფები წარადგენენ თავიანთ დავალებას. მონაწილეები მსჯელობენ და სვამენ კითხვებს.	
10 წთ	კერძო და საჯარო საქონელი	თამაში - „მეხსიერების ბარათები“	მონაწილეები სახალისო თამაშის გზით აღგენენ, რომელ საქონელსა და მომსახურებას გვაწვდის ბიზნესი (კერძო კომპანიები) და რომელს - სახელმწიფო	მხოლოდ პირისპირ ტრენინგისთვის! ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად და თითოეულს ურიგებს წინასწარ მომზადებულ ბარათების თითო წყებას. ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეთამაშებიან - მათი მიზანია დააწყვილონ ბარათები - ყოველ საქონლის ან მომსახურების ბარათს შეესაბამება 1 სახელმწიფოს ან ბიზნესის ბარათი (იმის მიხედვით, თუ რომელი არის მომწოდებელი). თამაში მიმდინარეობს შემდეგნაირად: ბარათები უნდა გაშალონ მაგიდაზე წარწერით/სურათით ქვემოთ. მონაწილეები რიგრიგობით იღებენ ორ ბარათს და აჩვენებენ დანარჩენებსაც - თუ ბარათები წყვილდება, მონაწილე მას დაიტოვებს, თუ არა - დააბრუნებს ადგილზე. მონაწილეები ამ დროს იმახსოვრებენ, სად რომელი ბარათი დევს, რათა შემდეგ დაწყვილება შეძლონ.	4 ჯგუფისთვის წინასწარ ამობეჭდილი და გამოჭრილი მეხსიერების ბარათების თითო წყება - აქტივობა #13 სახელმწიფოსა და ბიზნესის ბარათები - მეხსიერების თამაში



				გამარჯვებული იქნება ის, ვინც ყველაზე მეტ ბარათს შეაგროვებს.	
--	--	--	--	---	--

დაზღვევა (45 წთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
25 წთ	დაზღვევა	ლექცია	მონაწილეები მსჯელობენ დაზღვევის მნიშვნელობაზე, განიხილავენ სხვადასხვა ტიპის დაზღვევას და ყურადღებას გაამახვილებენ დაზღვევის ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებზე.	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: დაზღვევა საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო (IX კლ.) გვ. 60 - საკითხი 4: დაზღვევა ✓ https://finedu.gov.ge/ge/dazghveva-1 ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „დაზღვევა“ https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-qanatilebis-broshurebi-1	პრეზენტაცია
20 წთ	ცხოვრებისეული რისკები და დაზღვევის ტიპები	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები დაფიქრდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ რისკებზე, მათგან გამოწვეულ შესაძლო ზარალზე და ამ ზარალის	ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 2 ჯგუფად. პირველ ორ ჯგუფს ურიგებს აქტივობა #17 ცხოვრებისეული რისკები, მეორე ორ ჯგუფს აქტივობა #18 დაზღვევის ტიპები. ტრენერი ჯგუფებს თხოვს 10 წუთის განმავლობაში შეასრულონ მათ სამუშაო ფურცელში მოცემული დავალება. პირველმა ორმა ჯგუფმა მოცემული სიტუაციის მიხედვით უნდა განაღდოს ოჯახის წევრები	2 ჯგუფისთვის აქტივობა #17 - ცხოვრებისეული რისკები; 2 ჯგუფისთვის აქტივობა #18 - დაზღვევის ტიპები ონლაინ ტრენინგისთვის:



			თავიდან არიდებაზე. მონაწილეები მოცემული სიტუაციების მიხედვით მსჯელობენ, რა შემთხვევა შეიძლება დადგეს და რა ტიპის დაზღვევა იქნებოდა საჭირო	დროის შკალაზე და მოიფიქროს, თითოეულს რა შემთხვევა შეიძლება დაუდგეს, რა ზარალი შეიძლება მიაღგეს და ვინ აანაზღაურებდა ამ ზარალს. მეორე ორი ჯგუფი კი მოცემული სიტუაციების მიხედვით მსჯელობს, რა შემთხვევა შეიძლება მოხდეს, რა ზარალი მოჰყვეს და რომელი ტიპის დაზღვევას შეიძენდნენ ამ ზარალის თავიდან ასარიდებლად. 10 წუთის გასვლის შემდეგ ჯგუფები თავიანთ დავალებას წარუდგენენ დანარჩენებს. მონაწილეები მსჯელობენ და სვამენ კითხვებს.	4 breakout rooms; აქტივობის ფურცლების ბმული
--	--	--	--	--	---

საფინანსო ორგანიზაციები და მომსახურებები (1 სთ და 30 წთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
25 წთ	საფინანსო ორგანიზაციები	ლექცია	მონაწილეები ეცნობიან საფინანსო ორგანიზაციებს - ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სესხის გამცემ სუბიექტებსა და მათ მომსახურებებს; მონაწილეები ეცნობიან ეროვნული ბანკის ფუნქციებს; მონაწილეები მსჯელობენ	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: საფინანსო ორგანიზაციები (კომერციული ბანკი და მისი ფუნქციები, ეროვნული ბანკი და მისი ფუნქციები, საფინანსო ორგანიზაციების როლი ეკონომიკაში) საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო გვ. 36 - საკითხი 3: საფინანსო ორგანიზაციები და მომსახურებები ✓ საფინანსო სექტორის წარმომადგენლები ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „ფინანსური სისტემა და ფინანსური“	პრეზენტაცია



			საფინანსო ორგანიზაციების როლზე ეკონომიკაში.	<u>შუამავლები“</u> https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-qanatilebis-broshurebi-1	
5 წთ	ბანკის ფუნქციები	საკლასო აქტივობა - „ბარათების დაწყვილება“	მონაწილეები ბარათების დაწყვილების გზით ბანკის ფუნქციებსა და მომსახურებებს შეაჯამებენ.	მხოლოდ პირისპირ ტრენინგისთვის! [ტრენერი წინასწარ დაფაზე გააკრავს ბარათებს] მონაწილეებმა ბარათები ერთმანეთს უნდა მეუსაბამონ (წინადადებები ააწყონ) ისე, რომ მიიღონ ბანკის 8 მნიშვნელოვანი მომსახურება. ტრენერი მონაწილეების პასუხების მიხედვით გადააღებებს ბარათებს და ხმამაღლა გააქვრებს წინადადებებს.	წინასწარ ამობეჭდილი და გამოჭრილი ბარათების 1 წყება - აქტივობა #14 - ბანკის ფუნქციები და მომსახურებები სკოჩი ან მაგნიტი ბარათების დაფაზე მისამაგრებლად
10 წთ	ფინანსური პროდუქტები და მომსახურება	ლექცია	მონაწილეები ეცნობიან ძირითად საბანკო პროდუქტებს - მიმდინარე ანგარიში, ბარათი, სესხი და მასთან დაკავშირებული საკითხები, მონაწილეები მსჯელობენ ფინანსური პროდუქტის შეძენისას	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: ფინანსური პროდუქტები და მომსახურება საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო (IX კლ.) გვ. 41. ქვესაკითხი - 3.4 ფინანსური პროდუქტები და მომსახურება ✓ https://finedu.gov.ge/ge/seskheba-1 ✓ სესხის კალკულატორები - https://finedu.gov.ge/ge/calculators/13 ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „სესხება“	პრეზენტაცია



			გასათვალისწინებელ საკითხებზე.	https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-ganatilebis-broshurebi-1	
10 წთ	სესხის საპროცენტო განაკვეთები	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები სესხების კალკულატორების დახმარებით ანგარიშობენ სესხზე გადასახდელ თანხას და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს	[ტრენერი წინასწარ ბეჭდავს დავალებებს აქტივობა #15-იდან] ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს დავალებებს. ჯგუფებმა სესხის კალკულატორების გამოყენებით (უნდა დაასკანირონ QR კოდი) უნდა გამოითვალონ: 1. რა თანხას გადაიხდიან ყოველთვიურად მოცემულ სესხზე? 2. რამდენი იქნება ამ სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი?	აქტივობა #15 - სესხის კალკულატორები - თითოეული ჯგუფისთვის ონლაინ ტრენინგისთვის: 3-4 breakout rooms, აქტივობის ფურცლის ბმული
20 წთ	სესხთან დაკავშირებული საკითხები	როლური თამაში - „კრედიტორი და მსესხებელი“	მონაწილეები დაფიქრდებიან, რა უნდა გაითვალისწინონ სესხის აღებამდე, ასევე იმსჯელებენ, რას აქცევს ყურადღებას საფინანსო ორგანიზაცია სესხის გაცემამდე	• ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად: 2 ჯგუფი იქნება კრედიტორების (ანუ გამსესხებლების), 2 კი - მსესხებლების. • კრედიტორების ჯგუფებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ ისინი არიან ბანკი, რომელთანაც მომხმარებელი მიდის სესხის ასაღებად, და 10 წუთის განმავლობაში უნდა მოფიქრონ, თუ რას მიაქცევდნენ ყურადღებას სესხის გაცემისას - რა ინფორმაციას მოსთხოვდნენ მომხმარებელს, რას გაითვალისწინებდნენ, რა შეკითხვებს დაუსვამდნენ და ა.შ. • მსესხებლების ჯგუფებმა კი უნდა წარმოიდგინონ, რომ ისინი არიან მომხმარებელი, რომელიც ბანკში მიდის	



				სესხის ასაღებად და 10 წუთის განმავლობაში უნდა მოიფიქრონ, თუ რას გაითვალისწინებდნენ სესხის აღებად, როგორ შეაფასებდნენ თავიანთ ფინანსურ შესაძლებლობებს, რა ინფორმაცია დასჭირდებოდათ კრედიტორისგან, რა შეკითხვებს დაუსვამდნენ და ა.შ. ამის შემდეგ კი, ჯგუფებმა უნდა გაათამაშონ წარმოდგენა - სიტუაცია ბანკში, სადაც 1 მხარე იქნება კრედიტორი (ბანკი), მეორე მხარე კი - მსესხებელი (მომხმარებელი). (თითო წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ორი ჯგუფი - ერთი კრედიტორების, მეორე - მსესხებლების).	
20 წთ	ბანკის შერჩევის კრიტერიუმები	ჯგუფური სამუშაო	მონაწილეები ადგენენ ბანკის შერჩევის კრიტერიუმებს და მათ საფუძველზე აფასებენ და ირჩევენ 4 ბანკის შემოთავაზებიდან ერთ-ერთს	- ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს აქტივობა #16-ში მოცემულ 4 ბანკის შემოთავაზებას. - ჯგუფებმა 10 წუთის განმავლობაში უნდა მოიფიქრონ და ჩამოწერონ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ მოცემული ბანკების შემოთავაზებებს. - ჯგუფები თითოეულ შემოთავაზებას შეაფასებენ თავიანთი კრიტერიუმების მიხედვით და მიიღებენ გადაწყვეტილებას.	4 ჯგუფისთვის თითო აქტივობა #16 - ბანკის შემოთავაზების შერჩევა ონლაინ ტრენინგისთვის: 4 breakout rooms; სამუშაო ფურცლების ბმული



				10 წუთის შემდეგ თითოეული ჯგუფი გააცნობს დანარჩენებს თავის გადაწყვეტილებას და დაასაბუთებს თავის არჩევანს	
--	--	--	--	---	--

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები (1 სთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
25 წთ	მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა	ლექცია	მონაწილეები იგებენ სხვადასხვა სფეროში მომხმარებლის უფლებების შესახებ; მონაწილეები განიხილავენ საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებებს და მსჯელობენ მომხმარებლის პასუხისმგებლობაზე	ტრენერი მონაწილეებს გააცნობს პრეზენტაციაში მოცემულ საკითხს: მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა საკითხავი მასალა: ✓ სახელმძღვანელო (IX კლ.) გვ. 69 საკითხი 5: მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები ✓ https://finedu.gov.ge/ge/momkhmareblis-uflebebi-1 ✓ ფინანსური განათლების ბროშურა „მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები“ https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-ganatilebis-broshurebi-1	პრეზენტაცია
20 წთ	მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევები	ჯგუფური სამუშაო - სიტუაციის განხილვა	მონაწილეები სიტუაციურ მაგალითზე განიხილავენ საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებების	ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს აქტივობა #19 - სიტუაციის განხილვა. ტრენერი ჯგუფებს სთხოვს 10 წუთის განმავლობაში გაეცნონ მოცემულ სიტუაციას და იმსჯელონ დავალებაში მოცემულ კითხვებზე.	4 ჯგუფისთვის თითო აქტივობა #19 სიტუაციის განხილვა - მომხმარებლის უფლებები



			დარღვევის შემთხვევას და მსჯელობენ თავად მომხმარებლის მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობაზე	10 წუთის შემდეგ მონაწილეები ერთად განიხილავენ: რისი უფლება ჰქონდა მომხმარებელს? დაირღვა თუ არა მისი უფლებები და რა შემთხვევაში? პასუხისმგებლობით მოიქცა თუ არა მომხმარებელი? რისი გაკეთება შეეძლო მას?	ონლაინისთვის: 4 breakout rooms; აქტივობის ფურცლის ბმული
15 წთ	მომხმარებლის უფლებები სხვადასხვა სფეროში	დისკუსია	მონაწილეები განიხილავენ მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევებს სხვადასხვა სფეროში და მსჯელობენ, ვის შეიძლება მიმართოს მომხმარებელმა თითოეულ სიტუაციაში	ტრენერი მონაწილეებს აცნობს აქტივობა #20-ში მოცემულ სიტუაციებს. თითოეული სიტუაციის წაკითხვის შემდეგ, მონაწილეებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს: 1. დაირღვა თუ არა მომხმარებლის უფლება? 2. თუ კი, რომელი უფლება დაირღვა? 3. სად და რა გზით დააფიქსირებდით პრეტენზიას?	აქტივობა #20 - მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევები

შემაჯავებელი სესია (30 წთ)

დრო	თემა	მეთოდი	მიზანი	აქტივობის აღწერა	რესურსი
15 წთ	ტრენინგის შეფასების კითხვარის შევსება	-	მონაწილეები ავსებენ შეფასების კითხვარს	ტრენერი მონაწილეებს თხოვს დაასკანერონ ტრენინგის შეფასების QR კოდი და ონლაინ შეავსონ.	ტრენინგის შეფასების კითხვარის



				(იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეს არ აქვს შესაძლებლობა შეავსოს ონლაინ კითხვარი, ტრენერი სთავაზობს ამობეჭდილი ვერსიის შევსებას). ტრენერი მონაწილეებს განუმარტავს, რომ ტრენინგის შეფასების კითხვარი ანონიმურია და ემსახურება ტრენინგის შემდგომ გაუმჯობესება-დახვეწას, ამიტომ მათი გულწრფელი რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე, ტრენერი შეახსენებს მონაწილეებს, რომ 1 კვირის შემდეგ მათ გაეზავნებათ ტრენინგის პოსტ - კითხვარი (იმის მსგავსი, რაც დასაწყისში შეავსეს) და მნიშვნელოვანია, რომ შეავსონ.	ბმული / QR კოდი. ტრენინგის შეფასების კითხვარი ამობეჭდილი
15 წთ	შეჯამება და სერტიფიკატების გადაცემა		მონაწილეები აჯამებენ ტრენინგის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას	ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, ისევ დადგნენ წრეზე და გადაუგდონ ბურთი ერთმანეთს. მან, ვის ხელშიც ბურთი აღმოჩნდება, უნდა დაასახელოს ერთი რამ, რასაც ამ ტრენინგიდან წაიღებს. [მასალა: შეჯამების სავარჯიშოების ალტერნატიული ვერსიები იხ. დანართ 3-ში: შეჯამების სავარჯიშოები] ტრენერი მადლობას გადაუხდის მონაწილეებს მათი ჩართულობისთვის. მიაწვდის ინფორმაციას, რომ ტრენინგის ფარგლებში გამოყენებულ პრეზენტაციას, აქტივობების ფაილებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს გაუზავნის ელექტრონული ფოსტით.	ბურთი



				ტრენერი მონაწილეებს გადასცემს სერტიფიკატებს, ემშვიდობება და უსურვებს წარმატებებს. ონლაინ ტრენინგის შემთხვევაში მონაწილეები უბრალოდ რიგრიგობით ჩართავენ მიკროფონს და დაასახელებენ ერთ რამეს, რასაც ტრენინგიდან წაიღებენ. მათ მასალასთან ერთად, დამატებით გაეგზავნებათ ელექტრონული სერტიფიკატიც.	
--	--	--	--	--	--

შენიშვნა ონლაინ ტრენინგისთვის:

- ტრენინგის შეფასების კითხვარის ბმული წინასწარ გქონდეთ შზად და გაუგზავნეთ ზუმის ჩატში. მონაწილეებს ასევე შეუძლიათ QR კოდის დასკანირებით პირდაპირ გადავიდნენ კითხვარზე.

ტრენინგის შეფასების კითხვარის ბმული, ტრენინგის შემდეგ შესავსებად:

https://docs.google.com/forms/d/1bFCnUuR20_v6R5yHN0uxFvpVGW4h58-aBlisoLzo2eM/preview

პოსტ კითხვარის ბმული 1 კვირის შემდგომ გასაზიარებლად:

<https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfwPfz20Aiqf94q3ZSTyFQHqwidaDOHf-2CsIDKO-16AeCM6w/viewform>

მასწავლებლებისთვის გასაგზავნი მასალები

მასწავლებლებს ტრენინგის შემდეგ უნდა გაუგზავნოთ:

- VII და IX კლასის დამხმარე სახელმძღვანელოები
- სახელმძღვანელოებში მოცემული აქტივობების საბეჭდი ფაილები
- ტრენინგზე გამოყენებული პრეზენტაციები
- ტრენინგზე გამოყენებული აქტივობების საბეჭდი ფაილები
- დამატებითი რესურსები - მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები

ყველა ეს მასალა თავმოყრილია ამ ბმულზე: <https://finedu.gov.ge/ge/finansuri-da-ekonomikuri-tsigniereba-skolebshi-1>



ამიტომ შეგიძლიათ ბმულის პირდაპირ გაზიარებაც.

ტრენერის უკუკავშირი ეროვნულ ბანკთან

ყოველი ტრენინგის ჩატარების შემდეგ, ტრენერი ავსებს უკუკავშირის ფორმას ამ ბმულზე: <https://forms.gle/VMPHN67xZYFq8WvLA>

ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ ფინანსური განათლების განყოფილებას: info@finedu.gov.ge